საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

KA060130908122715

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

 # 1312 **06 / მარტი / 2015 წ.**

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს
აღმასრულებელ დირექტორს
ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქ.თბილისი, ფალიაშვილის ქ. №27/29

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2015 წლის 24 თებერვლის №3305 განცხადების შესაბამისად, გიგზავნით ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს 2015 წლის 27 იანვრის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით 2015 წლის 23 თებერვალს ჩატარებული ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმის ასლს და აუდიო ჩანაწერს.

დანართი: 25 ფურცელი.
1 CD.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე მაია ბითაძე

09/01-92

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს 2015 წლის 27 იანვრის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოებისას ჩატარებული

ზეპირი მოსმენის სხდომის

ოქმი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

თბილისი, 2015 წლის 23 თებერვალი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავის, ამავე კოდექსის 111-ე და 112-ე მუხლების, „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს 2015 წლის 27 იანვრის ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 30 იანვრის №-62 ბრძანების შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებისას „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს 2015 წლის 27 იანვრის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ზეპირი მოსმენის ჩატარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 13 თებერვლის №-93 ბრძანების საფუძველზე - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის **აკაკი ველთაურის თავმჯდომარეობით** და ამავე სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებთან ურთიერთობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის **გიორგი ლანჩავას მდივნობით** ჩატარდა ზეპირი მოსმენა.

სხდომას ესწრებოდნენ:

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - **ირაკლი ნადარეიშვილი.**

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსი - **შორენა იოსებიძე.**

შპს „RMG Gold“-ის წარმომადგენელი **თეიმურაზ ოჩიგავა.**

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებთან ურთიერთობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი **შოთა კუბლაშვილი.**

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი:

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს აღმასრულებელი დირექტორი - ნინო გუჯარაიძე

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს წარმომადგენელი - ირმა მახათაძე.

ზეპირი მოსმენის საგანი

1. სსიპ -გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის №21/1556 გადაწყვეტილების(წერილი), როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

2. „შპს „RMG GOLD”-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის (სერია 53 №0010 ტიპი VI A B C) ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე“ სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2014 წლის 31 დეკემბრის №478/ს ბრძანების ბათილად ცნობა.

ზეპირი მოსმენის სხდომა გახსნა აკაკი ველთაურმა.

საქმის ძირითად გარემოებებზე მოხსენება გააკეთა გიორგი ლანჩავამ:

2015 წლის 27 იანვარს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში შემოვიდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც მოთხოვნილი იყო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის №21/1556 გადაწყვეტილების(წერილი), როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და „შპს „RMG Gold”-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის (სერია 53 №0010 ტიპი VI A B C) ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე“ სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2014 წლის 31 დეკემბრის №478/ს ბრძანების ბათილად ცნობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, წარმოდგენილ 2015 წლის 27 იანვრის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, იურიდიულმა დეპარტამენტმა განახორციელა შემდეგი პროცედურები:

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს 2015 წლის 27 იანვრის ადმინისტრაციული საჩივრის ფორმალური თვალსაზრისით შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ადმინისტრაციული საჩივარი შედგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ფორმალური მოთხოვნების შესაბამისად და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 30 იანვრის №1-62 ბრძანების შესაბამისად დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, რის შესახებაც ეცნობათ:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს - 2015 წლის 30 იანვრის №511 წერილით.

2. შპს „RMG Gold“-ს - 2015 წლის 30 იანვრის №513 წერილით და ასევე მოთხოვნილი იქნა წერილობითი მოსაზრებები ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით.

3. სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს - 2015 წლის 30 იანვრის №597 წერილით და ასევე მოთხოვნილი იქნა წერილობითი დასკვნა ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით.

4. საქართველოს კულტურისა და მეგლთა დაცვის სამინისტროს - 2015 წლის 3 თებერვლის №569 წერილით და ასევე მოთხოვნილი იქნა წერილობითი მოსაზრებები ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით.

ამასთან, განისაზღვრა ადმინისტრაციული საჩივრის თაობაზე ზეპირი მოსმენის ჩატარების დღე, რის შესახებაც კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა და წესის შესაბამისად ეცნობათ:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს - 2015 წლის 17 თებერვლის №817 წერილით.

2. შპს „RMG Gold"-ს - 2015 წლის 17 თებერვლის №816 წერილით.

3. სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს - 2015 წლის 17 თებერვლის №815 წერილით.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ნანა ზამთარაძის 2015 წლის 11 თებერვლის №2337 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015წლის 13 თებერვლის №-93 ბრძანებით, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს 2015 წლის 27 იანვრის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, ზეპირი მოსმენის ჩატარების უფლებამოსილება მიენიჭა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს აკაკი ველთაურს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა მიმართა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარეებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს და განმარტა:

ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენს:

1. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ - გარემოს ეროვნული ასაგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის №21/1556 გადაწვეტილება(წერილი) - ინდივიდუალური ადმინისტრაციული -სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის №478/ს ბრძანება.

საჩივრის ავტორმა წარმოადგინა გარემოებანი, რომლებსაც ეფუძნება საჩივრის მოთხოვნა, კერძოდ:

I გარემოება: ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივამ 2014 წლის 23 დეკემბერს №04/09/01-159 წერილობით მიმართა სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა შპს „RMG Gold"-სათვის წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმა, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში განსახილველი სრული დოკუმენტაციის ასლების გაცემა და ინფორმაცია ადმინისტრაციული წარმოების ვადებთან დაკავშირებით.

II გარემოება: სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 25 დეკემბრის №21/1452 წერილით (ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას ჩაბარდა 2014 წლის 29 დეკემბერს) ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 2014 წლის 23 დეკემბრის №04/09/01-159 წერილის პასუხად ეცნობა, რომ შპს „RMG Gold"-სათვის წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების საკითხზე სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულია, რომელიც გაეგზავნა ადრესატს, ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას დანართის სახით, ასევე გადაეცა შპს „RMG Gold"-ის მიმართვისა და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაგზავნილი გადაწყვეტილების ასლები.

III გარემოება: შპს „RMG Gold"-ის 2014 წლის 15 დეკემბრის №449/1 წერილით დადგენილია, რომ შპს „RMG Gold"-მა 2014 წლის 15 დეკემბერს მიმართა სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების მე-6 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოითხოვა შუამდგომლობის აღძვრა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წინაშე იმისათვის, რომ სამინისტროს შუამდგომლობითა და საქართველოს მთავრობის თანხმობით შეზღუდვის პერიოდის გათვალისწინებით, კომპანიას გაუგრძელდეს №0010 ლიცენზიის მოქმედების ვადა 2015 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 21 აპრილამდე. აღნიშნული შუამდგომლობის საფუძვლებია:

1. შპს „RMG Gold"-ის წიაღით სარგებლობის ლიცენზია (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI AB C) ბოლნისის ჯგუფის საბადოების წიაღისეულის გეოლოგიურ შესწავლა-მოპოვებაზე გაიცა 1994 წლის 7 აპრილს 2014 წლის 7 აპრილამდე ვადით.

2. 2006 წლის 30 მარტიდან „საყდრისის" საბადოს სალიცენზიო ფართობში მოქცეულ „ყაჩაღიანის" უბანს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, რის გამოც ლიცენზიატი ვეღარ ახდენდა სალიცენზიო ტერიტორიის ზემოაღნიშნული და მიმდებარე უბნების სრულ სამრეწველო ათვისებას. ძეგლთა ნუსხაში უსაფუძვლოდ შეტანის გამო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება კანონდარღვევის გამოსწორების მიზნით. ამავდროულად, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №593 განკარგულებით ლიცენზიის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2015 წლის პირველ იანვრამდე. შესაბამისი აქტების ადმინისტრაციული და სასამართლო წესით გასაჩივრების გამო კომპანიას კვლავ არ მიეცა ლიცენზიით განსაზღვრული უფლებამოსილების სრულად განხორციელების შესაძლებლობა, მაშინ, როდესაც მარაგების სახელმწიფო კომისიაზე დამტკიცებული და სახელმწიფო ბალანსზე აყვანილი „საყდრისის" საბადოს ოქრო-სპილენძის მადნები მოიცავდა „ყაჩაღიანის" ბორცვის მარაგებსაც და მის საფუძველზე შეაბამის სახელმწიფო უწყებებში წარდგენილი საბადოს დამუშავების გეგმა წარმოადგენდა წლებზე გაწერილ ღონისძიებებს.

3. ლიცენზიების მოქმედების თავდაპირველი პერიოდის (07.04.1994 წლიდან 07.04.2014 წლამდე) განმავლობაში წიაღით სარგებლობის შეზღუდვა მოქმედებდა 8 წლისა და 8 დღის მანძილზე 2006 წლის 30 მარტიდან, 2014 წლის 7 აპრილამდე. საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებით ლიცენზიის მოქმედება პირველად გაგრძელდა მხოლოდ 8 თვითა და 24 დღით. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 12

დეკემბრის №03/266 ბრძანებით, აგრეთვე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანებითა და 2014 წლის 12 დეკემბრის №12/09/1885 წერილით კომპანიას მიეცა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის აღების (დაშლის) თანხმობა, რის საფუძველზეც კომპანიამ არქეოლოგიური ობიექტის დაშლა და საბადოს №1 უბანზე სამთო-მოპოვებითი სამუშაოების განახლება შეძლო მხოლოდ 2014 წლის 13 დეკემბერს. მაშასადამე, დროის სიმწირის გამო 2015 წლის პირველ იანვრამდე დარჩენილი ლიცენზიის მოქმედების დრო არ არის საკმარისი საბადოს სრული სამრეწველო ათვისებისათვის.

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით (2014 წლის 23 დეკემბრის №21/1376 წერილი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) არ დაკმაყოფილდა შპს „RMG Gold"-ის 2014 წლის 15 დეკემბრის №449/1 წერილის მოთხოვნა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წინაშე შუამდგომლობის აღძვრის შესახებ.

სააგენტომ საქათველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეული მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების მე-7 პრიმა მუხლის მე-2 პრიმა პუნქტზე დაყრდნობით მიუთითა, რომ შპს „RMG Gold"-ის მფლობელობაში არსებული სარგებლობის ლიცენზიების (სერია 53 №0010 და №1002122) შემთხვევაში ლიცენზიის ვადის გაგრძელების და მეორე შემთხვევაში ლიცენზიის ძალაში შესვლის გადავადების მექანიზმი უკვე გამოყენებული (მოქმედი ლიცენზიის ვადის გაგრძელების ხარჯზე ერთხელ უკვე გადავადდა იმავე ფართობზე გაცემული ლიცენზიის ძალაში შესვლა) და მისი ხელახალი გამოყენების სამართლებრივი მექანიზმი არ არსებობს.

IV გარემოება: 2015 წლის 8 იანვარს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას ჩაბარდა სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოდან 2015 წლის 6 იანვარს გამოგზავნილი სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის წერილი №21/1610 ,რომლითაც ადმინისტრაციულ წარმოებაში 23 დეკემბრის მოთხოვნის პასუხად დამატებით ეცნობა, რომ შპს „RMG Gold"-მა 2014 წლის 29 დეკემბერს წერილით მიმართა სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2021 წლის 21 აპრილამდე ლიცენზიის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად დანართში წარმოდგენილ X და Y კოორდინატებში არსებულ ფართობზე. ანუ ტერიტორიაზე, სადაც წერილის თანახმად, კომპანიას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო ხელი ეშლებოდა და ვერ ახორციელებდა სამთო მოპოვებით სამუშაოებს. აღნიშნული შუამდგომლობა ეფუძნება იმავე საფუძვლებს, რასაც შპს „RMG Gold"-ის 2014 წლის 14 დეკემბრის მოთხოვნა, კერძოდ:

1. შპს „RMG Gold"-ის წიაღით სარგებლობის ლიცენზია (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI AB C) ბოლნისის ჯგუფის საბადოების წიაღისეულის გეოლოგიურ შესწავლა-მოპოვებაზე გაიცა 1994 წლის 7 აპრილს 2014 წლის 7 აპრილამდე ვადით.

2. 2006 წლის 30 მარტიდან „საყდრისის" საბადოს სალიცენზიო ფართობში მოქცეულ „ყაჩაღიანის" უბანს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, რის გამოც

ლიცენზიატი ვერ ახდენდა სალიცენზიო ტერიტორიის ზემოაღნიშნული და მიმდებარე უბნების სრულ სამრეწველო ათვისებას. ძეგლთა ნუსხაში უსაფუძვლოდ შეტანის გამო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება კანონდარღვევის გამოსწორების მიზნით. ამავდროულად, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №593 განკარგულებით ლიცენზიის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2015 წლის პირველ იანვრამდე. შესაბამისი აქტების ადმინისტრაციული და სასამართლო წესით გასაჩივრების გამო კომპანიას კვლავ არ მიეცა ლიცენზიით განსაზღვრული უფლებამოსილების სრულად განხორციელების შესაძლებლობა, მაშინ, როდესაც მარაგების სახელმწიფო კომისიაზე დამტკიცებული და სახელმწიფო ბალანსზე აყვანილი „საყდრისის“ საბადოს ოქრო-სპილენძის მადნები მოიცავდა „ყაჩაღიანის“ ბორცვის მარაგებსაც და მის საფუძველზე შეაბამის სახელმწიფო უწყებებში წარდგენილი საბადოს დამუშავების გეგმა წარმოადგენდა წლებზე გაწერილ ღონისძიებებს.

3. ლიცენზიების მოქმედების თავდაპირველი პერიოდის (07.04.1994 წლიდან 07.04.2014 წლამდე) განმავლობაში წიაღით სარგებლობის შეზღუდვა მოქმედებდა 8 წლისა და 8 დღის მანძილზე 2006 წლის 30 მარტიდან, 2014 წლის 7 აპრილამდე. საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულები ლიცენზიის მოქმედება პირველად გაგრძელდა მხოლოდ 8 თვითა და 24 დღით. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის №03/266 ბრძანებით, აგრეთვე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანებითა და 2014 წლის 12 დეკემბრის №12/09/1885 წერილით კომპანიას მიეცა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის აღების (დაშლის) თანხმობა, რის საფუძველზეც კომპანიამ არქეოლოგიური ობიექტის დაშლა და საბადოს №1 უბანზე სამთო-მოპოვებითი სამუშაოების განახლება შეძლო მხოლოდ 2014 წლის 13 დეკემბერს. მაშასადამე, დროის სიმწირის გამო 2015 წლის პირველ იანვრამდე დარჩენილი ლიცენზიის მოქმედების დრო არ არის საკმარისი საბადოს სრული სამრეწველო ათვისებისათვის.

V გარემოება: სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით (2014 წლის 30 დეკემბრის №21/1556 წერილი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) შპს „RMG Gold“-ის 2014 წლის 29 დეკემბრის წერილი, მასში დამული საკითხის განხილვისა და თანხმობის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობასთან ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით შუამდგომლობის აღსაძვრელად, წარედგინა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის 30 დეკემბერს. სამინისტროს ეცნობა, რომ ობიექტის კონტური მდებარეობს საავტომობილო გზის სიახლოვეს და მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის მიწას, რაც საჭიროებს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებას. აქვე ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ წარდგენილი მოთხოვნის მიუხედავად, როგორც დაინტერესებული მხარე არ იქნა ჩართული შპს „RMG Gold“-ის 2014 წლის 29 დეკემბრის განცხადებაზე დაწყებულ ადმინისტრაციული წარმოებაში.

VI გარემოება: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №7625 წერილით დასტურდება, რომ საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას წარედგინა შპს „RMG Gold“-ზე

გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი თანდართულ მასალებთან ერთად.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2597 განკარგულებით „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების მე-6 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე თანხმობა მიეცა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს შპს „RMG Gold“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის 2020 წლის 1 იანვრამდე გაგრძელების თაობაზე მითითებული X და Y კოორდინატების ფარგლებში.

VII გარემობა: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის 30 დეკემბრის №7615 წერილით დადგენილია, რომ შპს „RMG Gold“-ის 2014 წლის 29 დეკემბრის წერილი ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ, შესაბამისი ტერიტორიის რუკით წარედგინა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად კომპეტენციის ფარგლებში ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე წიაღისეულის მოპოვების საკითხის განსახილველად და მოსაზრების წარმოსადგენად.

საქართველოს საავტომოილო გზების დეპარტამენტის 2014 წლის 30 დეკემბრის №2-03/9107 წერილით დადგენილია, რომ სალიცენზიო ობიექტი 69-ე კმ-ზე კვეთს საერთაშორისო მნიშვნელობის ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზას. აქედან გამომდინარე, დეპარტამენტი არ არის წინააღმდეგი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე შემდეგი ტექნიკური პირობების დაცვის შეთხვევაში:

1. საავტომობილო გზის ელემენტების მდგრადობის შენარჩუნების მიზნით საკარიერო ტერიტორია განისაზღვროს მითითებული კოორდინატების ფარგლებში.

2. საავტომობილო გზის გასწვრივ სალიცენზიო ობიექტის მიმდებარედ საავტომობილო ტრანსპორტის შესასვლელის და გამოსასვლელის სქემატური ნახაზი უნდა დამუშავდეს მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად, სადაც საფარის მოწყობა განხორციელდება საავტომობილო გზის საფარის იდენტურად.

3. სალიცენზიო ობიექტიდან ტვირთის გადაზიდვა განხორციელდეს საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის შესახებ“ გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

4. სალიცენზიო ობიექტის მიმდებარედ შენარჩუნებულ იქნეს საავტომობილო გზის ელემენტები და წყალმომცილებელი საშუალებები.

5. წიაღისეულის მოპოვების პერიოდში აკრძალულია გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება-დადგომა.

6. სალიცენზიო ობიექტის ფუნქციონირების პერიოდში უზრუნველყოფილი იქნას მთელი ტერიტორიის ფარგლებში საავტომობილო გზის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენახვა.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ გასაჩივრებულ ბრძანებაში არ არის მითითებული აღნიშნულ პირობებთან დაკავშირებით შპს „RMG Gold"-ის თანხმობა და იქნება თუ არა შესრულებული აღნიშნული პირობები შპს „RMG Gold"-ის მიერ.

VIII გარემოება: 2015 წლის 8 იანვარს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივამ, მას შემდეგ რაც სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპატამენტის თანამშრომელთან სატელეფონო საუბრის შედეგად გაარკვია, რომ შპს „RMG Gold"-სათვის წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება ორგანიზაციისათვის წარმოებაში ჩართვის შესახებ შეტყობინების გამოგზავნისათვის ერთი კვირის დამთავრებული იყო, გამოითხოვა ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში განხილული ყველა დოკუმენტის და მიღებული გადაწყვეტილების ამსახველი შესაბამისი ბრძანების ასლი.

ვინაიდან ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ მოითხოვდა ა) სხვა დასახლებული პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას. ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას. გ)სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-მ მოითხოვა ინფორმაციის დაუყოვნებლივ გადაცემა.

IX გარემოება: საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე 8 იანვრის განცხადებაზე მწვანე ალტერნატივას 2014 წლის 14 იანვარს ჩაბარდა 2014 წლის 9 იანვრით დათარიღებული სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილი N21/172, რომლის თანახმად სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის N478/ ბრძანებით შპს "RMG Gold"-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის (სერია53 N0010 ტიპი VI ABC)მოქმედების ვადა გაუგრძელდა 2020 წლის 1იანვრმდე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის N2597 განკარგულებით შპს "RMG Gold"-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის (სერია 53, N 0010 ტიპი VI ABC) მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე" გათვალისწინებული კოორდინატების ფარგლებში. აღნიშნული გადაწყვეტილები მიღებისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოებისას კი განხილული იყო შემდეგი დოკუმენტები მხოლოდ შპს "RMG Gold"-ის 2014 წლის 29 დეკემბრის წერილი (დანართებით).

X გარემოება: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 ნოემბრის განჩინებით წარმოებაშია მიღებული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს მთვრობის წინაღმდეგ ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას სარჩელი. მწვანე ალტერნატივა ითხოვს 1)ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის N03/108 ბრძანება თანმდევი

სამართლებრივი შედეგებით; 2) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს N03/130 ბრძანება; 3) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3ოქტომბრის N1430 განკარგულება; 4) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის განკარგულება N1433, 04/10/2013 და „დავით სახვაძის ადმინისტრაციულ საჩვარის განხილვაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულება N1435, 04/10/2013; 5) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის N1436 განკარგულება;

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს სარჩელი. სასამართლომ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო:

საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის 3/133 ბრძანების ნაწილის ბათილად ცნობის თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის N03/108 ბრძანება.

საჩივრის ავტორმა აქვე აღნიშნა, რომ ამჟამად დავას განიხილავს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა.

XI გარემოება: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 19 მაისის განჩინებით წარმოებაშია მიღებული ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს სარჩელი შპს „RMG GOLD“-თვის სამთო საქმიანობის განხორციელების მიზნით დადებული დასკვნის გადაცემის შესახებ სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 6 მარტის N05/09/221 დასკვნის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 13 მარტის N01/01-1227 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

XII გარემოება: 2014 წლის 15 მაისს მოქალაქეებმა კახა კოჟორიძემ და დალი მამულაშვილმა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მიმართ, რომლითაც მოითხოვეს ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის N01/01-1227 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელეების კახა კოჟორიძისა და დალი მამულაშვილის შუამდგომლობა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის N01/01-1227 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება შეჩერდა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

XIII გარემოება: 2014 წლის 21 იანვარს თბილისის საქალაქო სასმართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარდგენილია მოსარჩელის კახა კოჟორიძისა და გიორგი გოგოჭურის სარჩელი, რომლითაც მოთხოვილია:

1. ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის N2/271 ბრძანება და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის N05/09/1857 კორესპონდენცია - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

2. ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N03/287 ბრძანება კახა კოჟორიძისა და გიორგი გოგოჭურის ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ;

3. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შეჩერდეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანება და ამავე სააგენტოს 2014 წლის 12 დეკემბრის №05/09/1857 კორესპონდენცია(ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი).

საჩივრის ავტორის მხრიდან თითოეულ გარემოებაზე წარმოდგენილია მტკიცებულებები.

საჩივრის ავტორი მიუთითებს საჩივრის სამართლებრივ საფუძვლებს და აღნიშნავს, რომ:

1.საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №27 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების 1.1 მუხლის თანახმად, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო არის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. მაშასადამე, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს სზაკ-ის 1.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად და მასზე ვრცელდება ამ კოდექსის დებულებანი.

2. სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტარციულ ორგანოს სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

3. სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ამდენად, გასაჩივრებული სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება (წერილი) და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2014 წლის 31 დეკემბრის №478/ს ბრძანება წარმოადგენენ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებს, ვინაიდან ისინი გამოიცა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და განსაზღვრა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების საკითხთან დაკავშირებით

ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას, ასევე აწესებს შპს „RMG Gold“-ის უფლებას წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე.

4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 117-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება. სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის №21/1556 გადაწყვეტილება (წერილი) საჩივრდება სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის გრძანებასთან ერთად, რაც დასახელებულ შეზღუდვას ხსნის.

5. სზაკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით (2014 წლის 23 დეკემბრის №449/1 წერილი) არ დაკმაყოფილდა შპს „RMG Gold“-ის 2014 წლის 15 დეკემბრის განცხადების მოთხოვნა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წინაშე შუამდგომლობის აღძვრის შესახებ იმ საფუძვლით, რომ შპს „RMG Gold“-ის მფლობელობაში არსებული სარგებლობის ლიცენზიების (სერია 53 №0010 და №1002122) შემთხვევაში ლიცენზიის ვადის გაგრძელების და მეორე შემთხვევაში ლიცენზიის ძალაში შესვლის გადავადების მექანიზმი უკვე გამოყენებული და მისი ხელახალი გამოყენების სამართლებრივი მექანიზმი არ არსებობს. საგულისხმოა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება „RMG Gold“-ის მიერ არ გასაჩივრებულა. იმის გათვალისწინებით, რომ არ შეცვლილა ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ზემოაღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, ასევე არ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ადმინისტრაციულმა ორგანომ სსიპ - გარემოს ეროვნულმა სააგენტომ შპს „RMG Gold“-ის 2014 წლის 29 დეკემბრის (ერთი და იგივე საკითხზე) განცხადებაზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება და გამოსცა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება ნაცვლად აღნიშნული განცხადების განუხილველად უარის თქმისა. ამდენად, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია სზაკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნათა უხეში დარღვევით და ამავე კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის მიხედვით ექვემდებარებიან ბათილად ცნობას. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ორივე მოთხოვნის

საფუძველი, ფორმულირება და ვადა სრულიად იდენტურია და მხოლოდ სალიცენზიო ფართობის კოორდინატებია დაზუსტებული.

6. სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

მიგვაჩნია, რომ სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოსცა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით და იგი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის შესაბამისად შემდეგ გარემოებათა გამო:

7. სზაკ-ის 6.1 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში, ხოლო ამავე კოდექსის 6.2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.

8. სზაკ-ის 53.4 მუხლის თანახმად თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ამავე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან განმარტებებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

9. სზაკ-ის 96.1 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დაუშვებელია, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრიოვი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი , რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

10. სზაკ-ის 95.1 მუხლის თანახმად თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას მასში მონაწილეობის უფლების მქონე პირი ამ უკანასკნელის წერილობითი თხოვნის საფუძველზე.

11. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" (ორჰუსის) კონვენციის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, კონვენციის პირველ დანართში ჩამოთვლილ საქმიანობებზე (მათ შორის, წიაღითსარგებლობაზე - დანართის 16 პუნქტი) მიღებულ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანისას, სააგენტო ვალდებულია იხელმძღვანელოს მე-6 მუხლის 2-9 პუნქტების დებულებებით და უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული საზოგადოების ეფექტური ჩართვა და მონაწილეობა.

12. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების 6[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად სააგენტოს, სამინისტროს შუამდგომლობით და საქართველოს მთავრობის თანხმობით, უფლება აქვს, გააგრძელოს ლიცენზიის მოქმედების ვადა. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება.

საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ არის დადგენილი და დადასტურებული, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღო ზემოაღნიშნული სამართლის ნორმების უხეში დარღვევით, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების გარეშე, ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული პირის მოწვევისა და მონაწილეობის გარეშე, გარდა ამისა, გასაჩივრებული აქტით ნამდვილად არ დგინდება საკითხის სრული და ობიექტური განხილვის მიზნით ჩატარდა თუ არა ადმინისტრაციული წარმოება.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის წარმოებაში არის საქმე № 3/ბ-1129-14 ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს მთავრობისა და შპს „RMG Gold"-ის სააპელაციო საჩივრების გამო და აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობს საქმისწარმოება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29.1 მუხლის თანახმად სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანების მოქმედება შეჩერებულია, რაც ნიშნავს და გულისხმობს ამ აქტის გამოცემამდე არსებული სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობის აღდგენას, ანუ 2013 წლის 18 ნოემბრის შემდეგ საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს მაღაროს აქვს კულტურული მემკვიდრეობის

ძეგლის სტატუსი, რაც გამორიცხავს აღნიშნულ ტერიტორიაზე ყოველგვარი საქმიანობის, მათ შორის სამთო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას. აღნიშნულს ასევე გამორიცხავს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 19 მაისისა და 2014 წლის 30 მაისის განჩინებები.

ზემოაღნიშნული გარემოებების თვალსაზრისით ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი განეხილა და დაეკმაყოფილებინა „RMG Gold"-ის განცხადება ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორმა ასევე მიუთითა, რომ ადმინისტრაციული საჩივარი სრულად აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნებს და კიდევ ერთხელ დაადასტურა საკუთარი მოთხოვნები.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორმა ასევე მიუთითა, რომ სალიცენზიო ფართობის შემცირებით მოხდა „RMG Gold"-ის ლიცენზიაში ცვლილების შეტანა და აქვე აღნიშნა, რომ ლიცენზიაში ცვლილების შეტანა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილების მე-7 პრიმა მუხლით გასაზღვრულ შემთხვევაში, რასაც აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

საჩივრის ავტორმა ასევე აღნიშნა, რომ გასაჩივრებული აქტის გამომცემმა ორგანომ არ ჩაატარა საკმარისი გამოკვლევა ადმინისტრაციული წარმოებისას, რის დასადასტურებლადაც განაცხადა, რომ მათ არ ჩაბარებიათ რაიმე სახის დოკუმენტი მითითებულ ფართობზე ტყის ფონდის არსებობასთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევის შესახებ.

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი მიიჩნევს რომ ადმინისტრაციული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

შპს "RMG Gold"-მა მომართა გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2014 წლის 15 დეკემბერს N449/1 წერილით და მოითხოვა 1994 წლის 7 აპრილს „ბოლნისის ჯგუფის ცნობილი საბადოების წიაღისეულის გეოლოგიურ შესწავლა-მოპოვებაზე" გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის (სერია 53 N 0010 ტიპი VI ABC) მოქმედების ვადის გაგრძელება. მითითებული პერიოდის მდგომარეობით, მოთხოვნაში დაფიქსირებულ ფართობზე შპს „RMG Gold"- ზე გაცემული იყო სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზია (N 1002122) რომელიც ძალაში შედიოდა 2015 წლის 1 იანვრიდან. №1002122 ლიცენზიის ფართობი მოიცავს სერია 53 N 0010 ტიპი VI ABC ლიცენზიის პრაქტიკულად მთლიან ფართობს, გარდა საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბნის იმ ტერიტორიისა, რომელსაც №1002121 ლიცენზიის გაცემის მომენტისათვის, 2012 წლის 21 მაისის მდგომარეობით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების (ბრძანების დანართის რიგითი №2042 (საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს, ბოლნისის მუნიციპალიტეტი)) საფუძველზე მინიჭებული ქონდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

გარემოს ეროვნული სააგენტოს 23 დეკემბრის N21/1376 წერილით კომპანიას უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების 7^1 მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად, ლიცენზიის ამოქმედების გადავადების სამართლებრივი მექანიზმი არ არსებობდა. კერძოდ - შპს "RMG Gold"-ის მფლობელობაში არსებული სარგებლობის ლიცენზიის (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI ABC) ვადის გაგრძელებისა და ასევე „RMG Gold"- ზე გაცემული N1002122 ლიცენზიის ძალაში შესვლის გადავადების მექანიზმი უკვე გამოყენებული იყო (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 04 აპრილის № 592 განკარგულებით „შპს „Mining Investments Gold"-ზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ძალაში შესვლის თარიღის გადაწევის თაობაზე" გადავადდა ხსენებული ლიცენზიის ამოქმედების ვადა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 04 აპრილის № 593 განკარგულებით „შპს „RMG Gold"-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" თანხმობა მიეცა ლიცენზიის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს გაეგრძელებინა სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI ABC ლიცენზიის მოქმედების ვადა.) ხსენებული ნორმა ლიცენზიის ამოქმედების გადავადების შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ „ერთჯერადად". ამასთან, ვინაიდან, ლიცენზიის პირობების შესრულების აუცილებელი ხასიათიდან გამომდინარე დაუშვებელია ერთ სამოქმედო ტერიტორიაზე ორი ან მეტი ლიცენზიის ერთდროულად არსებობა, რასაც გამოიწვევდა შპს-ს 2014 წლის 15 დეკემბრის პირველი მოთხოვნის დაკმაყოფილება, ორგანიზაციას უარი ეთქვა აღნიშნულზე.

მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ დღეის მდგომარეობით RMG Gold"-ის მფლობელობაში არსებული N1002122 ლიცენზია წარმოადგენს შპს „Mining Investments Gold"-ისა და შპს „RMG Gold"-ს შერწყმის (საფუძველი - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 17.11.2014 წლის №B14114955/5 გადაწყვეტილება. „RMG Gold"-სთვის მინიჭებული ს/კ 225359947) საფუძველზე, „Mining Investments Gold"- ზე გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების N 1001028 ლიცენზიაში ცვლილების შეტანის შედეგს, რაც განხორციელდა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 25 ნოემბრის № 167/ს ბრძანებით.

2014 წლის 29 დეკემბერს N469 წერილით სააგენტოს კვლავ მომართა შპს "RMG Gold"-მა, სადაც მოთხოვნა იყო დაზუსტებული. კერძოდ, კომპანიამ მოითხოვა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება მხოლოდ კონკრეტულ ფართობზე (სალიცენზიო ფართობის კონტური, რომელზეც სურდა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება წარმოდგენილი იყო შესაბამისი ტოპოგრაფიული რუკით X და Y კოორდინატების მითითებით) და მოითხოვა 23 დეკემბრის N21/1376 წერილში დასახელებული ფართობისგან განსხვავებულ ფართობზე ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება. კერძოდ, ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება მოთხოვნილი იყო მხოლოდ იმ ფართობზე (საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბნის ის ტერიტორია, რომელსაც 2012 წლის 21 მაისის მდგომარეობით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების (ბრძანების დანართის რიგითი №2042 (საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს, ბოლნისის

მუნიციპალიტეტი)) საფუძველზე მინიჭებული ქონდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი), რომელიც არ შედიოდა ,,RMG Gold"- ზე გაცემულ N1002122 სალიცენზიო ფართობში. აღნიშნული ქმედებით, კომპანიამ ერთის მხრივ, შესაძლებლობა მისცა მის საკუთრებაში არსებულ №1002122 სარგებლობის ლიცენზიას ამოქმედებულიყო 2015 წლის პირველი იანვრიდან, ხოლო მეორეს მხრივ, (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI A B C) ლიცენზიის მხოლოდ იმ ფართობზე მოითხოვა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება, რაც არ დაემთხვეოდა №1002122 სარგებლობის ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიას. ამით მოიხსნა სალიცენზიო ტერიტორიების ერთმანეთზე გადაფარვის პრობლემა და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის აღარ არსებობდა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თავდაპირველი საფუძველი. ამდენად, ნათელია, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი მდგომარეობების ცვლილება, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოსთვის არ არსებობდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენების და განცხადებაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის საფუძველი.

იმის გათვალისწინებით, რომ:

1. შპს ,,RMG Gold"- ზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის (N1002122) ფართობი არ მოიცავდა საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბნის იმ ტერიტორიას, რომელსაც ლიცენზიის გაცემის მომენტისათვის მინიჭებული ქონდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი;

2. შპს "RMG Gold"-ის მომართვაში (2014 წლის 29 დეკემბრის N469 წერილი) მოთხოვნილი იყო ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება მხოლოდ ხსენებული ფართობზე;

3. შპს "RMG Gold"-ის 2014 წლის 29 დეკემბრის N469 მომართვას ერთვოდა ა) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 12.12.2014 N03/266 ბრძანების ასლი - ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 05 ივლისის N 03/10 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ."; ბ) საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 12.12.2014 N2/271 ბრძანების ასლი - კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნის თაობაზე"; გ) საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 12.12.2014 N12/09/1885 წერილის ასლი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ტერიტორიას მოხსნილი ქონდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და კომპანიას მიენიჭა მისი დაშლის/აღების ფუნქცია;

4. სარგებლობის ლიცენზიის (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI ABC და N1002122) მოქმედების ვადა გადიოდა მომართვიდან 2014 წლის 29 დეკემბრიდან, 2 სამუშაო დღეში, და შესაბამისად საჭირო იყო დაუყოვნებლივი რეაგირება სააგენტოს მხრიდან, რათა საკითხზე გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი ყოფილიყო ლიცენზიის მოქმედების პერიოდში,

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ წერილისა ("RMG Gold"-ის 2014 წლის 29 დეკემბრის N469 წერილი) და თანდართული მასალების ანალიზის საფუძველზე (გადამოწმდა წერილით

წარმოდგენილი კოორდინატები, შედარდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილით წარმოდგენილ მონაცემებთან, გამოირკვა, რომ მოთხოვნილი ფართობის კონტური მდებარეობდა საავტომობილო გზის სიახლოვეს, და ასევე კვეთდა სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობს) მოამზადა მიმართვა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსადმი ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების საკითხის საქართველოს მთავრობასთან შესათანხმებლად წარდგენის მიზნით. სადაც ასევე გამოთქმული იყო მოსაზრება, საკითხის შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან შეთანხმების თაობაზე.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ განიხილა წარდგენილი დოკუმენტაცია, უზრუნველყო შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან შეთანხმება და საკითხი წარუდგინა საქართველოს მთავრობას ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე თანხმობის მიღების მიზნით. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის N2597 განკარგულებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს თანხმობა მიეცა "RMG Gold"- ზე გაცემული (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI ABC და N1002122) ლიცენზიის ვადის გაგრძელების თაობაზე, რომლის საფუძველზეც გამოცემული იქნა გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2014 წლის 31 დეკემბრის N478/ს ბრძანება.

აქვე უნდა განვმარტოთ, რომ ადმინისტრაციულ საჩივრით გათვალისწინებული ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტი, რომლის თანახმადაც ყოველი მხარე ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ თუ სახელმწიფო ორგანო ხელახლა განიხილავს ან დახვეწს სამოქმედო პირობებს პირველ პარაგრაფში მოცემული საქმიანობისათვის, აგრეთვე მაშინ, როდესაც ეს მიზანშეწონილია, გაითვალისწინოს, წინამდებარე მუხლის მეორე – მეცხრე პარაგრაფის დებულებები შესაბამისი ცვლილებებით. აღნიშნული მუხლი უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ჩართულობას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. 2014 წლის 30 დეკემბრის №21/1610 წერილით, სსიპ - გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს აცნობა შპს „RMG Gold"-ის მომართვისა და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. ამასთან, მიწოდებული იქნა ინფორმაცია შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად, რათა დაინტერესების შემთხვევაში ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა" ჩართულიყო ადმინისტრაციულ წარმოებაში. თუმცა, აღნიშნული ორგანიზაციის მხრიდან მსგავს მოთხოვნას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, უსაფუძვლოა ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მხრიდან ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებების დარღვევაზე მითითება.

რაც შეეხება საჩივარზე თანდართულ მასალას (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 მაისი განჩინება საქმეზე N3/1654-14, ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 19 მაისის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ საქმეზე N3/1620-14; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 134 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე N3/3877-13; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 ნოემბრის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღების, დასაშვებად ცნობისა და მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის შესახებ საქმეზე N3/3877-13), წარმოდგენილი დოკუმენტაციდან არ იკვეთება არცერთი ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებს

ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის რაიმე ქმედების განხორციელების ვალდებულების დაკისრებას, არც ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებას. სასამართლოში გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები გაუქმებულია მათი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ.სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ეყრდნობა შესაბამის სამართლებრივ საფუძვლებს და გამოცემულია კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა და პროცედურების დაცვით. შესაბამისად, ვერ გავიზიარებთ ადმინისტრაციულ საჩივრის ავტორის პოზიციას, რომ გარემოს ეროვნული სააგენტო არ იყო უფლებამოსილი განეხილა და დაეკმაყოფილებინა შპს "RMG Gold"-ის განცხადება და გამოსცა „კანონსაწინააღმდეგო" გადაწყვეტილება.

როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტების გამოცემის დროს გარემოს ეროვნული სააგენტო მოქმედებდა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მათი გამოცემისას მის მიერ დაცული იყო ამ აქტების გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. შესაბამისად, სააგენტოს მიაჩნია, რომ ააიპ „მწვანე ალტერნატივა"-ს უარი უნდა ეთქვას საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

შპს „RMG Gold"-ის წარმომადგენელმა უსაფუძვლოდ მიიჩნია ადმინისტრაციული საჩივარი და განაცხადა:

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს მივიჩნევთ სრულიად უსაფუძვლოდ, დაუსაბუთებლად და მოვითხოვთ მის უარყოფას შემდეგ გარემოებათა გამო:

საჩივრის ავტორი უთითებს სზაკ 102-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმად გაწცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

საჩივარში აღნიშნულია, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 23 დეკემბრის #449/1 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ლიცენზიის ვადის გაგრძელებაზე შ.პ.ს. „RMG Gold"-ის 2014 წლის 15 დეკემბრის მოთხოვნა და იმის გათვალისწინებით, რომ არ შეცვლილა ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობა და ასევე არ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს თითქოს უარი უნდა ეთქვა იმავე საკითხზე შ.პ.ს. „RMG Gold"-ის 2014 წლის 29 დეკემბრის განცხადების განხილვაზე და არ უნდა დაეწყო ადმინისტრაციული წარმოება, რაც სრულიად უსაფუძვლო და მცდარი მოსაზრებაა. კერძოდ:

2014 წლის 15 დეკემბრის განცხადებით შ.პ.ს. „RMG Gold“-ი ითხოვდა #0010 ლიცენზიის მოქმედების გაგრძელებას მთლიან ფართობში და ამავდროულად,მისი კუთვნილი №1002122 ლიცენზიის ძალაში შესვლის გადავადებას. იმის გამო, რომ#0010 ლიცენზიის გაგრძელება და შესაბამისად #1002122 ლიცენზიის ამოქმედების გადავადება მანამდე ერთხელ უკვე განხორციელდა, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #136 დადგენილების მე-7[1] მუხლის 2[1] პუნქტის საფუძველზე გარემოს ეროვნული სააგენტოს 23.12.2014წ. #21/1376 წერილით უარი გვეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნულის შემდგომ, ვინაიდან #1002122 ლიცენზიის ფართობი პრაქტიკულად მთლიანად მოიცავს #0010 ლიცენზიის ფართობს, წარსულში კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ნაწილის (ყაჩაღიანის ბორცვის) გამოკლებით, 2014 წლის 29 დეკემბრის განცხადებით მოთხოვნილი იქნა მხოლოდ #0010 ლიცენზიის ვადის გაგრძელება და ისიც მხოლოდ საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის ბორცვის ფარგლებში. ამ ჯერზე №1002122 ლიცენზიის ამოქმედების გადავადების მოთხოვნა არ დამდგარა. ამდენად, შ.პ.ს. „RMG Gold“-ის29.12.20014წ. განცხადების წარდგენით სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო აღმოჩნდა სრულიად შეცვლილი ფაქტობრივი გარემოების წინაშე და სზაკ 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო დაეწყო ადმინისტრაციული წარმოება.

სრულიად დაუსაბუთებელია საჩივარში იმის აღნიშვნა,რომ თითქოს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღება სამართლის ნორმების უხეში დარღვევით, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული პირის მონაწილეობის გარეშე. საჩივრის მიხედვით გასაჩივრებული აქტით თითქოს არ დგინდება საკითხის სრული და ობიექტური განხილვის მიზნით ჩატარდა თუ არა ადმინისტრაციული წარმოება.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული წარმოება ნამდვილად ჩატარდა საკითხის სრული და ობიექტური განხილვის მიზნით და ამგვარი მიზნის საწინააღმდეგოდ საჩივრის ავტორი ვერაფერს უთითებს. ისევე როგორც საერთოდ არ არის მითითებული, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებები არ იქნა შეფასებული ან ურთიერთშეჯერებული გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ.

რაც შეეხება „მწვანე ალტერნატივა“-ს მონაწილეობის გარეშე ადმინისტრაციული წარმოების გამართვას, საჩივრის ავტორი უთითებს ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტს, რომლის თანახმად კონვენციის პირველ დანართში ჩამოთვლილ საქმიანობებზე (მ.შ. წიაღითსარგებლობაზე - დანართის მე-16 პუნქტი) მიღებულ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანისას, სააგენტო ვალდებულია იხელმძღვანელოს მე-6 მუხლის 2-9 პუნქტების დებულებებით და უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული საზოგადოების ეფექტური ჩართვა და მონაწილეობა.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ კონვენციის პირველი დანართის მე-16 პუნქტის თანახმად, წიაღითსარგებლობის საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებაში ცვლილების

შეტანისას მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს სხვა დაინტერესებული პირი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული, თუ საკითხი შეეხება ისეთი კარიერის ექსპლუატაციას, სადაც ღია წესით მოპოვების ადგილის ზედაპირი აღემატება 25 ჰექტარს. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის #2597 განკარგულებისა და გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის #478/ს ბრძანების თანახმად კი შ.პ.ს. „RMG Gold"-ისათვის#0010 ლიცენზიის მოქმედება გაგრძელებული იქნა იმ X და Y კოორდინატების ფარგლებში, რომლის მთლიანი ფართობი შეადგენს 9 ჰა-ს. ამდენად, ცხადია, რომ „მწვანე ალტერნატივის" ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვის ვალდებულება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს არ გააჩნდა.

საჩივრის ავტორი მიუთითებს სასამართლო განხილვის პროცესში არსებულ ისეთ დავებზე, რომელთაც ლიცენზიის მოქმედების გაგრძელების საკითხთან კავშირი არ აქვს და იქვე აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,2013 წლის 18 ნოემბრიდან სასამართლოში სარჩელის მიღებით თითქოს შეჩერებულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის #03/108 ბრძანების მოქმედება და საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს მაღაროს აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, რაც გამორიცხავს აღნიშნულ ტერიტორიაზე ყოველგვარი საქმიანობის, მათ შორის სამთო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას. საჩივრის ავტორის მტკიცებით ამ ტერიტორიაზე სამთო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას თითქოს გამორიცხავს ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 19 მაისისა და 2014 წლის 30 მაისის განჩინებები, რის გამოც ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი განეხილა და დაეკმაყოფილებინა შ.პ.ს. „RMG Gold"-ის განცხადება ლიცენზიის მოქმედების გაგრძელების თაობაზე.

ვერ დავეთანხმებით საჩივრის ავტორის აღნიშნულ მსჯელობას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი გაუუქმდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის #03/266 ბრძანებისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის #2/271 ბრძანების საფუძველზე. ამასთან, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 12.12.2014წ. #12/09/1885 წერილით კომპანიას მიეცა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის აღების (დაშლის) თანხმობა, რის საფუძველზეც კომპანიამ არქეოლოგიური ობიექტის დაშლა და სამთო-მოპოვებითი სამუშაოების განახლება შეძლო 2014 წლის 13 დეკემბრიდან. ხსენებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები კი საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული სასამართლო აქტების მსჯელობის საგანი არ ყოფილა.

შპს „RMG Gold"-ის წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" ადმინისტრაციული საჩივარი უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სხდომის თავმჯდომარემ შესაძლებლობა მისცა მხარეებს, დაესვათ ერთმანეთისათვის შეკითხვები.

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენლის შეკითხვაზე იყო თუ არა შპს „RMG Gold"-ის 2014 წლის 15 დეკემბრისა და 29 დეკემბრის განცხადებებში ერთსა და იმავე №0010 ლიცენზიაზე საუბარი, შპს „RMG Gold"-ის წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2014 წლის 15 დეკემბრის განცხადებით შპს „RMG Gold"-ის მიერ მოთხოვნილი იყო №0010 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება ლიცენზიის სამოქმედო ტერიტორიის მთელ ფართობზე, ხოლო 2014 წლის 29 დეკემბრის განცხდებით იმავე ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება მხოლოდ მითითებულ და განსაზღვრულ კოორდინატებში მოქცეულ ფართობზე იქნა მოთხოვნილი.

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენლის შეკითხვაზე მოიცავდა თუ არა შპს „RMG Gold"-ის 2014 წლის 29 დეკემბრის განცხადებით მოთხოვნილ კოორდინატებს პირველი, 2014 წლის 15 დეკემბრის მოთხოვნა, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს წრმომადგენელმა განაცხადა რომ, აღნიშნულ ფართობს მოიცავდა შპს „RMG Gold"-ის 2014 წლის 15 დეკემბრის განცხადება.

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენლის შეკითხვაზე, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს პოზიციის შესახებ, რომლითაც სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო აღნიშნავს, რომ შპს „RMG Gold"-ის 2014 წლის 29 დეკემბრის განცხადებით შეიცვალა ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობა, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფაქტობრივი გარემოების ცვლილება გახლდათ შპს „RMG Gold"-ის მიერ ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების მოთხოვნა მხოლოდ მითითებულ კოორდინატებში, ანუ დაზუსტდა ფართობის მოთხოვნა, ხოლო რაც შეეხება სამართლებრივი მდგომარეობის ცვლილებას, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ პირველი განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი იყო, იმავე კომპანიის მფლობელობაში არსებული სხვა ლიცენზიის (№1002122) მოქმედების ვადის ძალაში შესვლა, (2015 წლის პირველი იანვრიდან), რადგან მითითებული ლიცენზიისა და №0010 ლიცენზიის ფართობები ემთხვეოდა ერთმანეთს (გარდა შემდგომ მოთხოვნილი X და Y კოორდინატებში მოქცეული ფართობისა), ამასთან, №1002122 ლიცენზიის ძალაში შესვლის თარიღის გადავადების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა, ხოლო 2014 წლის 29 დეკემბრის(მეორე) განცხადებით დაზუსტდა №0010 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების მოთხოვნა იმ კოორდინატებში, რომლის ფართობიც არ შედიოდა შპს „RMG Gold"-ის №1002122 ლიცენზიის ფართობში.

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენლის შეკითხვაზე, იყო თუ არა შპს „RMG Gold"-ის 2014 წლის 15 დეკემბრის განცხადების მოთხოვნის საფუძველი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინიტროს მიერ „საყდრისი ყაჩაღიანის" ბორცვისათვის კულტურული ძეგლის სტატუსის მოხსნასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები, შპს „RMG Gold"-ის წარმომადგენელმა განმარტა, რომ №0010 ლიცენზიის მოქმედების ვადა იწურებოდა და შესაბამისად, მოხდა მისი გაგრძელების მოთხოვნის წარდგენა, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილებები ცხადია გარკვეულ შემხებლობაში იყო შპს „RMG Gold"-ის მოთხოვნასთან.

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენლის შეკითხვაზე, იყო თუ არა ცნობილის სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის შპს „RMG Gold"-ის 2014 წლის 15 დეკემბრის მოთხოვნის

დროს გარემოებები, რომელსაც ეფუძნებოდა აღნიშნული მოთხოვნა, კერძოდ, „საყდრისი ყაჩაღიანის“ ბორცვისათვის კულტურული ძეგლის სტატუსის მოხსნასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები, და რა ცვლილება მოხდა იმავე კომპანიის მიერ წარმოდგენილ 2014 წლის 29 დეკემბრის განცხადების საფუძვლებში, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათთვის ცნობილი იყო და თავად განმცხადებელიც მიუთითებდა აღნიშნული გარემოებებზე საკუთარ განცხდებაში, ხოლო რაც შეეხება 2014 წლის 29 დეკემბრის განცხდების დაკმაყოფილებას, აღნიშნული უკავშირდება ლიცენზიების ურთიერთგადაფარვის პრობლემის მოხსნას და არა სხვა რაიმე ფაქტობრივ გარემოებას.

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს წარმომადგენლმა შეკითხვით მიმართა სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, ტყის ფონდთან №0010 ლიცენზიის ფართობის გადაფარვის შესახებ და მოითხოვა მითითებული გარემოების გამოკვლევის დამადასტურებელი ფაქტები. სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი სწორედ მათ მიერ იქნა დასმული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წინაშე და საქართველოს მთავრობის თანხმობის მიღების შემდეგ აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე დამატებითი მოკვლევა არ განუხორციელებია, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ არსებობს სამართლებრივი რეგულაციები, რომელიც იძლევა შესაძლებლობას ტყის ფონდის მიწები გამოყენებული იყოს წიაღით სარგებლობის პროცესში სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლებით.

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლის შეკითხვაზე აქვს თუ არა უფლება სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს მთავრობის თანხმობის შემდეგ უარი თქვას ლიცენზიის ვადის გაგრძელებაზე, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას განსაზღვრავს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტები.

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს წარმომადგენლის შეკითხვაზე, თუ რატომ უნდა განეხორციელებინა სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2014 წლის 29 დეკემბრის განცხადების მიღებიდან ორი დღის მანძილზე საჭირო პროცედურები ლიცენზიის ვადის გაგრძელების თაობაზე, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული ვადის გასვლის შემთხვევაში ფიზიკურად შეუძლებელი გახდებოდა მოცემული ლიცენზიის გაგრძელება.

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს წარმომადგენლმა შეკითხვით მიმართა სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელს, ორჰუსის კონვენციის მოთხოვნათა შესაძლო დარღვევის შესახებ და დააზუსტა, მიაჩნდა თუ არა სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“-თვის შეტყობინების გაგზავნა, ორჰუსის კონვენციის საფუძველზე საზოგადოების ინფორმირებად აღნიშნულ ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით. სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ცნობილი გახადა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“-თვის მათ მიერ გამოგზავნილ წერილში დასმული საკითხი. ასევე განმარტა, რომ 2014 წლის 29 დეკემბრიდან 2014 წლის 31

დეკემბრამდე პრაქტიკულად შეუძლებელი იყო საზოგადოების სრულად ჩართულობის უზრუნველყოფა მითითებულ საკითხთან დაკავშირებით.

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენლის შეკითხვაზე, არსებობს თუ არა რაიმე დოკუმენტი 2014 წლის 29 დეკემბრის განცხადებით მითითებულ ტერიტორიაზე არქეოლოგიური ზონის დაცვის შესახებ, **შპს „RMG Gold"-ის წარმომადგენელმა** განაცხადა რომ მხარის მიერ დაყენებულ აღნიშნულ განცხადებას ეჭვქვეშ აყენებს.

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენლის შეკითხვაზე იყო თუ არა საკმარისი მხოლოდ შპს „RMG Gold"-ის წარმოდგენილი განცხადება სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის საკითხის საფუძვლიანად შესწავლისათვის, **სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა,** რომ აღნიშნულ განცხადებას თან ჰქონდა დართული შესაბამისი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და მათი ეჭვქვეშ დაყენების საფუძველი არ არსებობდა.

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენლის შეკითხვაზე არღვევდა თუ არა სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 23 დეკემბრის გაადწყვეტილება, განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ **შპს** „RMG Gold"-ის კანონიერ უფლებას და ინტერესს, **შპს „RMG Gold"-ის** წარმომადგენელმა განმარტა, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება მხარის ნებაზეა დამოკიდებული და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საჩივრის ავტორს, არის თუ არა 2015 წლის 15 დეკემბრისა და 29 დეკემბრის განცხადებების საფუძვლების იდენტურობა აქტის ბათილობის საფუძველი. საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ესარგებლა სზაკ-ის 102 მუხლის პირველი ნაწილით და უარი უნდა ეთქვა განმცხადებლისათვის მითითებულ მოთხოვნაზე. აქვე **შპს „RMG Gold"-ის** წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემულ განცხადებებში განხვავებულად იყო წარმოდგენილი მოთხოვნა და ამასთან მიუთითა, რომ 2014 წლის 15 დეკემბრის განცხადებას თან ახლდა ასევე მეორე მოთხოვნა, მათივე №1002122 ლიცენზიის ძალაში შესვლის თარიღის გადავადების შესახებ, რაც პირდაპირ უკავშირდებოდა №0010 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებას. აღნიშნულზე საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ 2014 წლის 15 დეკემბრის განცხადებაში არ არის ორი მოთხოვნა ჩამოყალიბებული და განცხადების მოთხოვნის ნაწილში მხოლოდ №0010 ლიცენზიის მოქმედების ვადის გადაწევის საკითხია დასმული.

სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რას თვლიდა საჩივრის ავტორი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საკითხის სრულად არშესწავლას და მოკვლევას, **ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენელმა** განმარტა, რომ სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო სრულად დაეყრდნო შპს „RMG Gold"-ის განცხადებას და არ გამოიკვლია, თუ რატომ და რა საფუძვლით ჰქონდა მინიჭებული „საყდრისი-ყაჩაღიანის" ბორცვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ან რატომ მოეხსნა აღნიშნული სტატუსი და ადმინისტრაციული ორგანო, მხოლოდ განცხადებაში მითითებულ ფაქტს დაეყრდნო,

რომლითაც შპს „RMG Gold"-ი მიუთითებდა რომ არასამართლიანად ჰქონდა შეზღუდული ლიცენზიით მინიჭებული უფლება მითითებულ ტერიტორიაზე.

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენლმა ასევე განმარტა ორჰუსის კონვენციის მნიშვნელობა და როლი მსგავს საკითხებზე მისაღებს გადაწყვეტილებათა შესახებ.

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენლის მიერ დასმულ საკითხზე საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განსაზღვრული პირობების თაობაზე, შპს „RMG Gold"-ის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული პირობების შესრულების სავალდებულო ხასიათი კანონიდანაც გამომდინარეობს.

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენლის შეკითხვაზე იქნა თუ არა შესწავლილი მითითებულ კოორდინატებში ტყის ფონდის მიწის არსეობის შეასხებ დასმული საკითხი, შპს „RMG Gold"-ის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში აღნიშნული არ გახდებოდა დამაბრკოლებელი გარემოება მითითებული თანხმობის შემთხვევაში, რადგან წიაღით მოსარგებლეს აქვს უფლება ისარგებლოს ტყის ფონდით. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლმა აქვე განმარტა, რომ აუცილებელი იყო მითითებული საკითხის გამორკვევა.

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ შპს „RMG Gold"-ს მითითებულ ფართობზე უკვე ჰქონდა ლიცენზია, რომელიც ვრცელდებოდა ტყის ფონდის აღნიშნულ ტერიტორიაზე.

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელმა განმარტა, რომ ორჰუსის კონვენციის მიხედვით ლიცენზიის გამცემს, სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს უნდა გაეთვალისწინებია გარემოზე ზემოქმედების შესაბამისი შეფასება ლიცენზიის მოქმედების პერიოდში. სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაში სააგენტოს კომპეტენცია გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის მოთხოვნა და განხილვა არ არის.

შპს „RMG Gold"-ის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ორჰუსის კონვენციიდან გამომდინარე, მითითებული კოორდინატების ფართობის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანო არ იყო ვალდებული ჩაერთო ადმინისტრაციულ წარმოებაში ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა". აღნიშნულის საპასუხოდ ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება ლიცენზიის მთელი ტერიტორიის ფართობს და აქედან გამომდინარე, ორჰუსის კონვენციის ამ დათქმის გამოყენების შესაძლებლობა ამ შემთხვევაში არ არსებობს.

სხდომის თავმჯდომარემ შესაძლებლობა მისცა მხარეებს საბოლოოდ შეეჯამებინათ საკუთარი მოთხოვნები:

საჩივრის ავტორმა, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას"-ს წარმომადგენელმა სრულად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოსა და შპს „RMG Gold"-ის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ადმინისტრაციული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სხდომის თავმჯდომარემ ზეპირი მოსმენა დასრულებულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე აკაკი ველთაური

სხდომის მდივანი გიორგი ლანჩავა